საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 681 2016 წლის 22 აპრილი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 113-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის გადასაცემი ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახეობათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 11 დეკემბრის №330 დადგენილებით დამტკიცებული ნუსხის პირველი პუნქტის თანახმად, დამტკიცდეს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 8 აპრილის №5/17084 გადაწყვეტილება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ გონიოში მდებარე ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებული უძრავი ქონების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით გადაცემის შესახებ.

№1

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი

საქართველოს მთავრობის
2016 წლის 22 აპრილის
№ 681 განკარგულების

დანართი

№	მისამართი	შენობა-ნაგებობ(ებ)ის ჩამონათვალი და ფართობი (კვ.მ)	მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ)	საკადასტრო კოდი
1	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი გონიო	1 სართული 9,66 კვ.მ ფართი	წილობრივი	05.36.24.309.01.503
2	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი გონიო	1 სართული 6,24 კვ.მ ფართი	წილობრივი	05.36.24.309.01.502
3	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი გონიო	1 სართული 9,46 კვ.მ ფართი	წილობრივი	05.36.24.309.01.501.